ISSN 2298-0865

ჯიუდეველი

ეფესელების სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№7 (61) ნოემბერი-დეკემბერი 2012 წელი

ლიდა სვეტ გაბრიელიანი

„ეს ადამიანი ერის ერთ-ერთ ამაყად ერეკნის, რომ ჩვენ ასეთი ადამიანთან ერთად ვცხოვრობთ...“

„მე ითხოვეთ ერთ რამ ამბიციად ერქმოს, რომ ჩემი სამართლიანი ითხოვეთოდის იწყრნა...“

ზოგადად, აფხაზეთი, ერთგვარი „მოდური“ ტკივილია, განსაკუთრებით თანამედროვე ახალგაზრდულ პოეზიაში. ამ თემაზე დაწერილი ლექსები, მხატვრული ღირსების მიუხედავად, დიდი რეიტინგით სარგებლობენ ლიტერატურულ პორტალებზე. ტკივილი არის ის, რაც დაკარგე და ვეღარ დაიბრუნებ, ახალი სლოგანი კი უნდა იყოს: „აფხაზეთი – ჩემი მიზანი“.

ჩვენ, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდა თაობას, სწორედ ამ მიზნის მიღწევაში გვეხმარებოდა დაუღალავად აფხაზი და ქართველი ხალხის გამორჩეული შვილი, მარშანთა ძირძველი აფხაზური საგვარეულოს შთამომავალი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის გულმხურვალე ქომაგი, გიორგი შარვაშიძის პრემიის პირველი ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, გამოჩენილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, ღირსეული მამულიშვილი ლორიკ (გიორგი) მარშანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიზანს ერთი სიცოცხლე არ ეყო...

სწორედ ამ სიცოცხლის ხსოვნისა და დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაიმართა მიმდინარე წლის 24 ნოემბერს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზა-ში“.

ალბათ არ არსებობს ქართველი (და მითუმეტეს – სამშობლოდან შორს მყოფი აფხაზი), რომ ეკრანზე სოხუმის ხედებს, რომელიმე ნოსტალგიური სიმღერის ფონზე, ცრემლების გარეშე უყუროს. ეს საღამოც ასე დაიწყო. ეკრანზე: სოხუმ-ლამაზ-ქალაქი, მომღიმარი ხალხი, ზღვა, პლიაჟი, უამრავი დამსვენებელი... დარბაზში: შეკავებული ოხვრა და წრფელი ცრემლები...

საღამოს უძღვებოდა ქალბატონი სვეტლანა ქეცბა. გამოვიდნენ ბატონი ლორიკის ნაცნობ-მეგობრები, ითქვა ბევრი გულთბილი სიტყვა, შესრულდა რამდენიმე მუსიკალური ნომერი. ეს იყო განსაკუთრებული საღამო სცენისა და დარბაზის საოცარი ერთიანობით გამორჩეული, ეკრანზე გასული კადრებისა და დარბაზიდან წამოსული ემოციური ფონის სრული ჰარმონია.

როგორც საღამოზე ითქვა, ლორიკ მარშანია იყო პირველი ეროვნებით აფხაზი, რომელიც გახდა აკადემიის წევრი (1995 წელს არჩეულ იქნა საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად), ის იყო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 250-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. ამ ღვაწლის გათვალისწინებით, საღამოს ერთ-ერთი მონაწილე – პროფესორი ოთარ ჟორდანია გამოვიდა ინიციატივით, რომ სუბტროპიკული უნივერსიტეტი, რომელიც ქუთაისის უნივერსიტეტს შეუერთდა, გამოეყოს მას და გახდეს ლორიკ მარშანიას სახელობის, ან შეუერთდეს სოხუმის უნივერსიტეტს. ამ საკითხების განსახილველად მზადყოფნა განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გია ბარამიამ, რომელსაც, სხვათა შორის, იგივე სუბტროპიკული უნივერსიტეტი (ყოფილი ინსტიტუტი) აქვს დამთავრებული...

დიდი ოვაცია მოჰყვა ახალგაზრდა პიანისტის ირმა გიგანის ბრწყინვალედ შესრულებულ შოპენის ექსპრომტ-ფანტაზიას. გამორჩეული იყო ალუდა თოდუას მიერ შესრულებული „ვაგიორქო მა“, ფორტეპიანოზე მანანა ბერულავას მიერ აჟღერებული სუიტა აფხაზურ-მეგრულ სიმღერების თემებზე, სიმღერებისა, რომლებიც, ბატონ ლორიკს განსაკუთრებით ჰყვარებია. შთაბეჭდილება მოახდინა, აგრეთვე, ელისო პაჭკორიას მიერ შოთა ნიშნიანიძის ლექს „აფხაზური კანტატას“ წაკითხვამ... უემოციოდ ვერ დატოვა დარბაზში მყოფი საზოგადოება დიმიტრი ჯაიანის დიდი არტისტიზმით წარმოთქმულმა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსმა „მაგრამ მაინც დავბრუნდებით“...

„კვლავაც მშობლიური მიწის
სიმღერებით გავბრუვდებით,
ჩქიმი ჯიმა, ცოტა გვიჭირს,
მაგრამ მაინც დავბრუნდებით!“

ემოციური იყო ლორიკ მარშანის პატარა შვილიშვილის მიერ წაკითხული დუტუ მეგრელის ცნობილი ლექსი: „მე პატარა ქართველი ვარ“...

„ჩვენი სამშობლო – აფხაზეთი საფრთხეშია. უკვე დაიღვარა უდანაშაულო ადამიანების სისხლი, დანგრეულია ქალაქები და სოფლები. მრავალტანჯულ აფხაზ ერს ემუქრება ფიზიკური განადგურება.“ – ასე იწყებს აფხაზი ხალხისადმი და სეპარატისტული მთავრობისადმი მიწერილ წერილს ბატონი ლორიკი. მერაბ მამარდაშვილის სიტყვები, რომლის გამოც ის კინაღამ ჯვარზე აცვეს – „ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სამშობლო“, – ლორიკ მარშანიამ რეალობაში განახორციელა. რთულია ასეთ შემთხვევაში პატივისცემა დაიმსახურო ოპონენტების მხრიდან, მითუმეტეს, როცა ისინი იაფფასიანი დემაგოგიის დიდოსტატები არიან, მაგრამ ვინ გაბედავდა ბატონ ლორიკზე გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა ზურგსუკან, და პირში – მითუმეტეს. ეს დამტკიცდა ჟენევის მოლაპარაკების დროს, სადაც ის საქართველოს ინტერესებს იცავდა და სადაც თურმე დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ აფხაზური მხარის წარმომადგენლები...

„ჩვენ ღმერთმა და ბედმა გვარგუნა ერთად ცხოვრება ერთ მიწაზე, ერთი ცის ქვეშ მშვიდობიანად, მეგობრულად და ნათესაური სიყვარულით, ამიტომ მე ვიქნები იქ, სადაც ჩემი შრომა, ძალა და ენერგია გამოადგება ჩემს სამშობლოს. მე ჩემი ერის და საქართველოს ღვიძლი შვილი ვარ“. – ასეთი იყო მისი მრწამსი და ასე ემსახურებოდა თავის სამშობლოს.

დასასრულს კი ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში ლორიკ მარშანიას სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე წარმოთქმული სიტყვიდან:“ ...ფერისცვალება და გარდაცვალება, როგორ ჰგავს ერთმანეთს. მე მინდა ვუთხრა ლორიკ მარშანიას ოჯახის წევრებს, რომ იგი ცოცხალია, და ალბათ იქიდან უფრო დაგვეხმარება... ღმერთს უფრო ჰყვარებია, ვიდრე – ჩვენ...“

ანი მატისი

"ვინ განგვაშოროს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესსა..."

აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლაში დიდი ხანია ფუნქციონირებს რელიგიის შემსწავლელი წრე. მოსწავლეები ეცნობიან ქრისტიანული ცხოვრების შინაარსს, დღესასწაულებს, წმიდანებს, ქარგავენ საეკლესიო დანიშნულების ნივთებს, ხატებს, მათ აქვთ საშუალება მოილოცონ ხატები, აანთონ სანთელი, ამოიკითხონ საკითხავი წმიდანთა და დღესასწაულთა შესახებ. მომლოცველობა ეწყობა სკოლის გარეთაც, ეკლესიებში. რამდენჯერმე მოაწყვეს მოქარგული ნიმუშების გამოფენა დევნილთათვის და ეკლესიის მრევლისათვის.

წრის ფუნქციონირების დღიდან სამი მოსწავლე გოგონა – ინგა ცინდელიანი, ნანა და მარიამ მარგველანები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ინტერესით. სისტემატურად მონაწილეობდნენ მომლოცველობაში, გამოფენებში, ჰქონდათ აღმსარებლობის სურვილი. სამების საკათედრო ტაძარში აირჩიეს მოძღვარი და დაიწყეს აღმსარებლობა, ლოცვა და მარხვა. მათმა შინაგანმა ბუნებამ ასახვა ჰპოვა გარეგნულზეც და ყველაზე უფრო გამორჩეულნი შეიქმნენ სკოლასა და ცხოვრებაში. ამ გზამ სკოლის შემდეგ ისინი მონასტერთან მიიყვანა – მეუფეიობის ეპარქიაში. მათ შემდეგი ცხოვრება სულიერი ღვაწლით ერთ-ერთ მონასტერში გააგრძელეს.

გთავაზობთ ნანასა და მარიამის

გამოგზავნილ წერილს:

"მას შემდეგ, რაც უფალმა ჩვენს სულიერ მამასთან მიგვიყვანა, აქტიურად დაიწყო ჩვენი სულიერი ცხოვრება. მოძღვრის სულიერი სწავლება ქალწულებაზე, უბიწოებაზე, ზოგადი ცხოვრების ირგვლივ, იყო პირველი მარცვალი, რომელმაც დაგვაფიქრა, რომ კეთილი და უმჯობესი გამოგვერჩია. ჩვენთვის თავისი საქმიანობით, შინაგანი და გარეგანი სახით მაგალითი იყო ჩვენი პედაგოგი ანა. ძალას გვაძლევდა სასკოლო პროგრამით მიღებული ცოდნა ჰაგიოგრაფიაში, ხოლო პედაგოგთა მხარდაჭერა იყო საშუალება, რომ ჩამოვყალიბებულიყავით, სად გვეცხოვრა – ერში თუ ბერში. მადლიერებას გამოვხატავთ უფლისა და წმიდანებისადმი, რომ მოგვეცა გადაწყვეტილების ძალა მონასტერში წასასვლელად, ხოლო თქვენ ყველას გიცხადებთ მადლიერებას, ვინც დაგვეხმარა გავრკვეულიყავით საკუთარ თავში. ახლა კი მთელი არსებით გვაქვს შემეცნებული პავლე მოციქულის სიტყვები: „ვინ განგვაშოროს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან ანუ იწროებამან... არცა სხუამან დაბადებულმან შეძლოს ჩუენ განყენებად სიყვარულსა ღმრთისასა..."

ვიგონებ მათთან გატარებულ წლებს, ვიაზრებ მათ სასულიერო, სამონასტრო ცხოვრების დაწყების არჩევანს და თვალწინ მიდგას პატრიოტი ქართველი ქალის სახე, რომელიც მზადაა თავისი უბიწო, ქრისტიანული ცხოვრებით თავი დასდოს რწმენისა და ქვეყნისათვის.

მინდა დავულოცო მათ არჩეული გზა, ვუსურვო მხნეობა. დე, ძალუმად რეკონ ზარი ქვეყნისა და ერის მღვიძარებისათვის თავისი რწმენითა და ცოდნით!

ლეილა ბურდული

ნიქოზის ფესტივალი

უკვე მეორედ, მ.წ. შემოდგომაზე, ნიქოზში ჩატარდა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი", რომელსაც მასპინძლობდა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) თაოსნობით შექმნილი სახელოვნებო სკოლა, სადაც ბავშვები სხვა საგნებთან ერთად სწავლობენ ანიმაციას და ჩრდილების თეატრის ოსტატობას. ფესტივალის შესახებ გვესაუბრება სტუდია „კვალი XXI-სა" და კინოცენტრ „აფხაზეთის" ხელმძღვანელი, რეჟისორი **გელა კანდელაკი**:

– საერო ცხოვრებაში მეუფე ისაიამ დაამთავრა თეატრისა და კინოს ინსტიტუტის ანიმაციის ფაკულტეტი და სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ნიქოზში პატარა სტუდია, რომელიც, სამწუხაროდ, აგვისტოს ომის დროს დაიბომბა და სრულიად განადგურდა. ამის შემდეგ პოლონეთის ელჩის ქალბატონ ურსულა დოროშევსკას ინიციატივით პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პოლონეთის სახელმწიფომ გამოიჩინეს დიდი ყურადღება და დღეს იქ სტუდია ტექნიკური ბაზით მთლიანად უზრუნველყოფილია. ასევე პოლონეთის ინიციატივითა და მხარდაჭერით გაჩნდა იდეა ჩატარებულიყო ნიქოზში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი.

ეს ფესტივალი პრინციპულად განსხვავდება სხვა ფესტივალებისაგან იმით, რომ არ არის არავითარი კონკურსი, არ არის არავითარი შეზღუდვა იმაზე, თუ როდის არის გადაღებული ფილმი. მთავარია, დააკმაყოფილოს ფესტივალის კრიტერიუმი: ფილმი უნდა იყოს სულიერებით სავსე და შესაბამისი მხატვრული ფორმით გამოხატული. ამ ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კინომცოდნეებსაც, რომლებსაც საშუალება ეძლევათ წარუდგინონ მაყურებელს მათთვის საინტერესო პროგრამა. წელს, მაგალითად, მონაწილეობდა ვაიმარის უნივერსიტეტის პროფესორი, კულტურის ისტორიის სპეციალისტი და ფილოსოფოსი ვოლფგანგ ბაილენჰოფი, რომელმაც თავისი მოსაზრებები გამოთქვა და საინტერესო ილუსტრაციები მოიყვანა ანიმაციური ფილმებიდან. ამ ფესტივალზე მეფობს ხელოვნების სიყვარული და სხვა არაფერი.

ფესტივალი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მსოფლიო კინემატოგრაფიული საზოგადოებისათვის და ბევრნი გამოთქვამენ მზადყოფნას მასში

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

საკუთარი ხარჯით მონაწილეობის მიღებაზე. ახლახან ვიყავი ლოძის ანიმაციური ფილმების კინოფესტივალის ჟიურის წევრი და იქ ყველას, როდესაც იგებდნენ, რომ საქართველოდან ვარ, აინტერესებდა, რა ხდებოდა ნიქოზის ფესტივალზე. ფესტივალისადმი მზარდ ინტერესზე მოწმობს ის, რომ მისი მეგობრები არიან სუზდალის, ლოძის, სოფიისა და დრეზდენის ფესტივალების მესვეურები, რომლებიც მზად არიან ყოველწლიურად ესტუმრონ ნიქოზს. უკვე მომავალ წელს ველოდებით სტუმრებს ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც. ჩამოსული სტუმრების დიდი ნაწილი ატარებს მასტერკლასებს, ზოგი ფესტივალის შემდეგ რჩება და მუშაობს ბავშვებთან, თბილისელებთანაც, თუ მსურველები იქნებიან. ჩვენი სტუმრები მარტო კი არ გასცემენ, როდესაც ჩამოდიან, აქედანაც მიაქვთ გარკვეული სულიერი საზრდო, რადგან ყოველდღიურად ეცნობიან ქართულ კულტურას და თითქმის ყველას აქვს სურვილი, კიდევ ერთხელ გახდნენ ამ ფესტივალის მონაწილენი.

ამ დღეებში ლაიფციგის ფესტივალიდან დამიკავშირდნენ და დეტალურად გამომკითხეს ფესტივალის პროგრამა და პირობები.

მომავალ წელს ფესტივალი გაიხსნება ნიქოზის ბავშვების მიერ შესრულებული ანიმაციური ფილმით – სახარებისეული იგავი „მთესვარი“. მათ მე და ჩვენი სტუდია „კვალი XXI“ და კინოცენტრი „აფხაზეთი“ ვხელმძღვანელობთ. დევნილები უკვე თავად გახდნენ პედაგოგები და მთელი ფესტივალი მათი ხელით კეთდება. ყველაფრის მოთავე და სულისჩამდგმელი არის მეუფე ისაია.

მადლობა სულიერებისა და კულტურის ცენტრს ამ თემით დაინტერესებისათვის.

ღვთიური მადლის შემობრძანება

სულიერებისა და კულტურის ცენტრის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას დევნილი მოსახლეობის სულიერებასთან ზიარება წარმოადგენს, რისთვისაც არაერთი ღონისძიება მოეწყო – აფხაზეთის საჯარო სკოლების კურთხევა, ბიბლიის ოთახის ფუნქციონირება სკოლაში, მოძღვართა ვიზიტები ოჯახებში, დევნილთა დასწრება პარაკლისებზე „საქართველოს იმედის“ ხატთან და ა.შ. ამჯერად ცენტრის ხელშეწყობით 13 დეკემბერს მამა დავით კონჯარია ეწვია თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებას, სადაც მიაბრძანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი. მოძღვარმა აკურთხა ოჯახები.

უწმიდესის საიუბილეოდ

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში 2012 წლის 14-15 დეკემბერს ჩატარდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისაკენ“. კონფერენციაზე მოხსენება „მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა“ წაიკითხა წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ, დეკანოზმა ბიძინა გუნიამ.

ვულოცავთ!

2012 წლის 22 სექტემბერს გელათის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა ფილოლოგიის დოქტორი, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე დეკანოზი ბიძინა (გუნია).

XII საუკუნეში, მანამდე არსებული საგანმანათლებლო ცენტრების ბაზაზე, საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელმა გელათის მეცნიერებათა აკადემია დააარსა. მიზანი საგანმანათლებლო საქმიანობის განახლება და ეპოქის შესაბამისად მისი თვალსაჩინოდ დაწინაურება იყო.

საუკუნეების განმავლობაში ეს იყო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც საქართველოს დასავლურ ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი ფუნქცია ჰქონდა და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გელათის აკადემიაში შექმნილ ხელნაწერ წიგნებს შორის ზოგიერთს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და ამჟამად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

აკადემიამ XVI საუკუნის დამდეგს შეწყვიტა საქმიანობა. ამ პერიოდიდან ხუთი საუკუნის განმავლობაში დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ფიზიკური განადგურების წინაშე იდგა. ქვეყანას კულტურის ისეთ მაღალ საფეხურზე, როგორიც მეცნიერების განვითარებაა, ძალები აშკარად არ ჰყოფნიდა.

1995 წლის 25 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და სახელმწიფოს მაშინდელი მეთაურის (ედუარდ შევარდნაძის) ერთობლივი დადგენილებით აღსდგა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრს, რათა აღსდგეს და გაგრძელდეს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემიის ტრადიციები ჩვენს რეალობაში.

აკადემიის ამოცანას საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობის გაზრდა და ცივილიზაციათა დიალოგში საქართველოს ინტენსიური ჩართვა წარმოადგენს, თანამშრომლობა საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებთან კი ამ ამოცანის რეალიზაციის საფუძველია.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობა ოცდაერთი წევრით განისაზღვრება, ხოლო მისი პრეზიდენტი გახლავთ რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი **იოანე (გამრეკელი)**.

ჩვენებური

კახა კინწურაშვილი

სოხუმის კულტურულ ცხოვრებაში ავბედითი ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე სასიამოვნო სიახლეს ჩაეყარა საფუძველი – გაიხსნა ბავშვთა თეატრალური სტუდია, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი რატიანი ხელმძღვანელობდა. მათ მაყურებელს წარუდგინეს სპექტაკლი „ჩვენი ეზო“. ამ ლამაზი ზღაპრის გმირები საუკეთესო მეგობრები არიან და ერთსულოვნად იცავენ თავს მზაკვარი მელაკუდასაგან. ყველაზე პატარა მონაწილე სპექტაკლისა როგორც როლით, ისე ასაკით, გახლდათ იხვის ჭუჭული, ახლადგამოჩეკილი, რომელიც მთელი აურზაურის ფონზე გაოცებული გამოხტებოდა ხოლმე ნაჭუჭიდან. ეს ჭუჭული გახლდათ კახა კინწურაშვილი, რომელიც დღეს საკმაოდ ცნობილი მსახიობია. იგი 1984 წელს დაიბადა სოხუმში, სწავლობდა მე-17 საშუალო სკოლაში და ბავშვთა თეატრალურ სტუდიაში. ომის შემდეგ ჯერ რუსთავში იყო მშობლებთან ერთად, შემდეგ ყაზახეთში, ბოლოს ისევ რუსთავში, სადაც მე-4 საშუალო სკოლაში სწავლობდა, მონაწილეობდა მხატვრულ კონკურსებში. რუსთავის ბავშვთა თეატრ „თეატრონში“ ზინაიდა კვერენჩხილაძის პარტნიორი ყო.

მე-10 კლასში იყო, როდესაც რუსთავის თეატრში დაიდგა სპექტაკლი „დამნაშავედ არ დავბადებულვარ“ (რეჟისორი კანდიდ გურგენიძე), სადაც თემურ ნაცვლიშვილთან და ზვიად დოლიძესთან ერთად მთავარი როლი შეასრულა.

2000 წელს დაამთავრა თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი (ლილი იოსელიანის ჯგუფი). სტუდენტობისას მიიღო მონაწილეობა ლევან ზაქარეიშვილის ფილმში „თბილისი-თბილისი“. 2006 ნ. იყო ვაკის სარდაფის მსახიობი, 2007 წელს მიწვეულ იქნა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში, 2009 წ. – კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ხოლო 2010 წლიდან ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობია. გადაღებულია ფილმებში: „აი ლავ, იუ, ბეიბი“ (რეჟისორი ლევან თუთბერიძე), „ყაზბეგელი მფრინავი“ (რეჟისორი ინეკე სმიტი), რომელიც ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე გადაიღეს, „სიყვარულის ბალადა“ (რეჟისორი ირაკლი კაკაბაძე), „უშენოდ მგონი მოვკვდები“ (ლევან თუთბერიძე), ასევე რამდენიმე სერიალში. მუსიკისა და დრამის თეატრში განსახიერებული აქვს შარლოტას როლი მანანა ბერიკაშვილის სპეკტაკლ „მარკიზა დე სადში“, ოსკარი – მამუკა ტყემალაძის სპექტაკლში „წერილები ღმერთს“, მონაწილეობდა სპექტაკლ „ბედნიერ ერში“, ხოლო მის მიერ განსახიერებულმა ჰამლეტმა ამირან ამირანაშვილის დადგმაში განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა. ამჟამად ასრულებს თეზევსისა და ობერონის როლებს დავით დოაიაშვილის სპექტაკლ „(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარში“. იყო წამყვანი პროექტებისა „ცეკვავენ ვარსკვლავები“, „მე მიყვარს საქართველო“...

ღიმილით იხსენებს კახა პირველ შეხებას სცენასთან: „მახსოვს, პირველივე დღეს ბატონმა გიორგიმ მითხრა, სცენაზე ადი და ლექსი წაიკითხეო. ავედი და ისე ძალიან მომეწონა სცენა, რომ მას შემდეგ ყოველთვის ხალისით მივდიოდი რეპეტიციაზე. ხუთი წლის ვიყავი, პირველად „ჩხიკვთა ქორწილში“ რომ ვითამაშე. ჩემი ეს მისწრაფება მშობლებმაც შეამჩნიეს და ყველანაირად მიწყობდნენ ხელს. მოკლედ, მსახიობობა ბავშვობიდანვე მინდოდა და ერთი წუთითაც კი არ მიფიქრია, იქნებ სადმე სხვაგან ვცადო-მეთქი ბედი. ძალიან მიყვარს ეს საქმე, ყველანაირად ვეცდები მივყვე და მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობები.“

რაც შეეხება აფხაზეთს, კახას ტკბილ-მწარე მოგონებები აკავშირებს: „რვა წელი ვცხოვრობდი სოხუმში, ოქტომბერში ცხრის ვხდებოდი, მაგრამ ქალაქი 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ოჯახთან ერთად დავტოვე პატარა გემით. ყველა ადამიანს თავის ქალაქში, სახლში, საკუთარი მიკროსამყარო აქვს და როდესაც ამ სივრცეს კარგავ, ძალიან დიდი ტკივილია, თუმცა ჩემთვის მაინც ზღაპარი იყო ყველაფერი, რადგან ბავშვს ცუდი რეალობის დაჯერება არ უნდა. დღემდე კადრებად, სხვანაირ ფერებად მახსოვს ყველაფერი. სოხუმის დაცემამდე ბოლო დღეები აეროპორტში გავატარეთ, თვითმფრინავი ჩვენ თვალწინ აფეთქდა და მაშინ მივხვდი, რომ, არც ისე კარგად იყო საქმე, როგორც მშობლები მამშვიდებდნენ... ჩემი ოჯახი იმაზე ოცნებით ცხოვრობს, რომ ოდესღაც იმ მიწაზე დაბრუნდებიან, რომელიც ჩვენიც არის და აფხაზებისაც...“

ღირსი საბა განწმედილი (+532)

5 (18) დეკემბერი

ღირსი საბა განწმედილი V საუკუნეში დაიბადა კაბადოკიაში, კეთილმსახური ქრისტიანების, იოანესა და სოფიას ოჯახში. წმიდანის მამა მხედართმთავარი იყო. ერთხელ იგი სამსახურის საქმეებზე ალექსანდრიაში გაგზავნეს და მეუღლეც თან წაიყვანა. ხუთი წლის ძე ბიძას დაუტოვეს აღსაზრდელად.

გავიდა ხანი. წმიდანის სანათესაოში მისი მამის ქონების გამო შფოთი და მტრობა ჩამოვარდა, სიყრმიდანვე უფლისგან შეყვარებულმა საბამ კი ყოველივე ამაოდ შერაცხა და მახლობლად მდებარე ფლაბიანოსის მონასტერს შეეხიზნა. ამ დროს იგი რვა წლისა იყო. ნათესავები ბევრს ეცადნენ, საერო ცხოვრებისკენ მოებრუნებინათ ყრმა, მაგრამ ამაოდ.

გულისხმიერმა ყრმამ სწრაფად შეისწავლა წმიდა წერილი „და ყოველი წესი მონაზონებისაჲ“, ჩვიდმეტი წლისა ბერად შედგა, „სული თჳსი დაიმდაბლა მარხვითა. ჴორცნი შრომითა დააჭნვნა“, ყველა მოწესეს გარდაემატა სიმდაბლით, მორჩილებითა და ღვთისმსახურებით. წმიდა ცხოვრებისთვის

საბას უფლისგან სასწაულთქმედების მადლი მიენიჭა.

ფლაბიანოსის მონასტერში გატარებული ათი წლის შემდეგ საბა იერუსალიმში გაემგზავრა, აქედან კი ექვთიმე დიდის (ხს. 20 იანვარს) ლავრას მიაშურა. ღირსმა ექვთიმემ წმიდანს ამბა თეოქტისტეს სავანეში წასვლა ურჩია. უფლის რჩეულმა მდაბლად მიუგო: „ვითარცა მიბრძანო, ეგრეცა ვყო“.

წმიდა საბა ოცდაათი წლის ასაკამდე ამ მონასტერში იმყოფებოდა მორჩილად, წინამძღვრის – თეოქტისტეს გარდაცვალების შემდეგ კი სავანის მახლობლად, გამოქვაბულში დამკვიდრდა. კვირაში ხუთი დღე იგი არაფერს ჭამდა. გამუდმებით ლოცულობდა და შრომობდა, შაბათ-კვირას კი საძმოსთან ერთად ღვთისმსახურებაში მონაწილეობდა და მათთან იყოფდა ტრაპეზს. რამდენიმე ხანში წმიდანს ნება დართეს, დაყუდებიდან საერთოდ არ გამოსულიყო და ასე, სრულ მარტოობაში დაჰყო ხუთი წელი.

ღირსი ექვთიმე ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდა ბერის მოღვაწეობას. ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგ კი (+473), წმიდა საბა ნეტარი გერასიმეს (+475; ხს. 4 მარტს) სავანის სიახლოვეს დამკვიდრდა და „გამობრწყინდა, ვითარცა მთიები, იორდანისა უდაბნოსა“.

ერთხელ უფლის ბრწყინვალე ანგელოზი წარდგა ნეტარი საბას წინაშე და უბრძანა, სილოამის ხევთან მდებარე გამოქვაბულში დამკვიდრებულიყო. მოსაგრე დამორჩილდა ზეციურ კურთხევას. საბას ახალი სენაკი ძნელად მისასვლელი იყო: იგი საბლით ადიოდა და ჩამოდიოდა. თანდათან წმიდანის ირგვლივ მოწაფეები მომრავლდნენ. ჯერ მცირე ეკვდერი ააგეს, შემდეგ კი ცეცხლოვანი სვეტით უფლისგან სასწაულებრივ მინიშნებულ მღვიმეში მცირე ტაძარიც მოაწყვეს; აშენდა სენაკებიც. ასე წარმოიშვა დიდი ლავრა. საბამ ამ სავანისთვის შექმნა პირველი წეს-განგება, „იერუსალიმის“ სახელით ცნობილი, რომელიც შემდეგ პალესტინის ყველა სავანემ მიიღო.

წმიდა საბას არ სურდა მღვდლად კურთხევა, მაგრამ უფლის ნება სხვაგვარი იყო: მთავარეპისკოპოსმა თითქოს რაღაც სხვა გარეშე მიზეზით იერუსალიმში მოუწოდა წმიდანს და ხუცესად დაასხა ხელი.

ექვთიმე დიდის მიბაძვით წმიდა საბაც დიდმარხვაში უდაბნოში გადიოდა ხოლმე. ერთხელ მან მკვდარ ზღვაში მცირე კუნძულს მოჰკრა თვალი და გადაწყვიტა, აქ გაეტარებინა მარხვის დღეები, მაგრამ, როგორც კი მისკენ გაიწია, ეშმაკის მანქანებით, „შთავარდა. ადგილსა ერთსა მის ზღუსასა, ბნელსა და ცეცხლსა, და გამოჴდა მიერ ალი და შეწუა პირი და წუერი“ და რამდენიმე დღე უგონოდ ეგდო, შემდეგ უფალი შეეწია და განაძლიერა, მაგრამ მოტრუსული წვერი ამის შემდეგ არ წამოზრდია – უწვეროდ დარჩა. „ქუეყანისა ანგელოზი. და ზეცისა კაცი, ბრძენი და სარწმუნო მოძღუარი“, წმიდა საბა დაუცხრომელი მოღვაწე იყო. მან „უდაბნოჲ ქალაქ ყო მონაზონთა სიმრავლითა“: გარდა დიდი ლავრისა, კიდევ ექვსი სავანე დააარსა.

უფლის რჩეული ახოვნად იბრძოდა მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმიდის დასაცავად. ასე მაგალითად, მწვალებელმა სევერუსმა დიდი კადნიერება ჰპოვა უსჯულო მეფის, ანასტასის წინაშე და ანტიოქიის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. ეს რომ წმიდა საბამ გაიგო, იერუსალიმში ჩავიდა უდაბნოში მოღვაწე ბერების თანხლებით და საჯაროდ შეაჩვენა სევერუსი და მისი მწვალებლური მოძღვრება: „შე-მცა-ჩუენებულ არს სევერი და რომელნი მას ეზიარებიან!“

ანასტასიმ მხედართა რაზმი გაგზავნა იერუსალიმში, იქაური მართლმადიდებელი მღვდელმთავარი ელია გადააყენა და მის ნაცვლად მწვალებლობისკენ მიდრეკილი იოანე დაადგინა. საბა და სხვა მეუდაბნოე მამები კვლავ შეიკრიბნენ იერუსალიმში და ისევ საჯაროდ შეაჩვენეს ერეტიკოსები. ანასტასიმ გადაწყვიტა, ქალაქიდან გაესხა მართლმადიდებლობის მოსარჩლე მამები, მაგრამ „ყოველნი მონაზონნი უდაბნოჲსანი“ აღსდგნენ წინამძღვრების დასაცავად და უღმრთო ხელისუფალი აიძულეს, რისხვა დაეცხრო.

ნეტარი საბა მეტად ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. ახოვანი მოსაგრე გამოცდილი მოძღვარიც იყო. ერთხელ იგი ერთ-ერთ მოწაფესთან ერთად იერიქონიდან იორდანისკენ მიდიოდა, როცა მათ ერისაგანნი, და მათ შორის ერთი მშვენიერი ქალი შემოხვდათ. წმიდანმა მოწაფის გამოცდა მოისურვა და უთხრა: „ვითარ შუენიერ არს ქალი ესე, რომელ გარეწარგუჴდა, და არს იგი ერთთუალი“. მოწაფემ მიუგო: „არა, მამაო, ორნივე თუალნი ასხენ“. ბერმა გაიმეორა: „სცეთ, შვილო, ერთთუალი არს“, მოწაფემ კი თავისი დაიჟინა: „არა ერთთუალი არს, არამედ დიდად ხოლო თუალითა შუენიერ არს“. მაშინ საბამ თქვა: „და სადა წერილ არს, რაჲთა შენ თუალნი მიადგნე მას და წამითა შენითა იხილო იგი? რამეთუ, ვითარცა ცეცხლი შემწუველი, ეგრე არს“. თვალდაუჭერლობისთვის ნეტარმა დასაჯა მოწაფე, სენაკიდან გააძევა და მხოლოდ მას შემდეგ დააბრუნა, რაც მან გულწრფელი სინანულით აღვსილმა, „თავი თჳსი დიდად დაიტანჯა“.

წმიდა საბა მკაცრი მმარხველი იყო: მთელი მარხვის მანძილზე პურს არ ღებულობდა, მოუძლურება კი ოდნავადაც არ ეტყობოდა; „შურებინ სიცხესა მრავალგზის და ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა შჳდეულთა მარხვით აღასრულებდა“, მაგრამ თუ სტუმარი მოვიდოდა და გაიხსნილებდნენ, „დღესა ორჯერ ჭამის და განძღის და გარდაერიის, და სიყვარულითა სტომაქსა არა ევნის“. ერთხელ, იოანე მთავარეპისკოპოსთან სტუმრობის დროს, საბა თურმე, ჩვეულებისამებრ, წრფელი გულით ღებულობდა ყველაფერს, რასაც აწვდიდნენ, და „ღმრთისა მიერ არარას განიკითხავდა“. მაშინ თეოდოსი დიდი იოანესა და მის ძმას, ასკალონის ეპისკოპოს ანტონის სიყვარულით გახუმრებია: „თქუენ ორთავე, რომელთა შემდგომად ღმრთისა თავადი პალესტინა გამოჰზარდეთ ჟამსა სიყმილისასა, მიკჳრს თუ ეგე გან-ვითარ-აძღოთ საჭმლითა“. პასუხად მთავარეპისკოპოსს უთქვამს: „შემინდვეთ, მამანო, რამეთუ ჩუენ ვერცა შიმშილსა დაუთმობთ, ვერცა სიმაძღრესა, ხოლო ამას ღმრთისა კაცსა მოციქულთაჲ იგი აქუს მადლი, იცის დამდაბლებაჲცა და აღმაღლებაჲცა. იცის მაძღრობაჲ და სიმშილი, გარდამეტებაჲ და ნაკლულევანებაჲ და ყოველივე განძლიერებულ არს ძლიერებითა ქრისტჱსითა“.

უფლისაგან საკვირველთქმედების ნიჭმიმადლებული წმიდა საბა მრავალ სასწაულს აღასრულებდა: მისი ლოცვით უდაბნოში წყარო აღმოცენდა, საშინელი გვალვის დროს ძლიერი წვიმა გარდამოხდა, მრავალი სნეული და ეშმაკეული განიკურნა, ბევრი გადაურჩა სასიკვდილო საფრთხეს. ნეტარ მამას მხეცებიც უდრტვინველად ემორჩილებოდნენ და ემსახურებოდნენ, ხშირად ისინიც ღებულობდნენ მისგან კურნებას.

წმიდა საბამ წინასწარ განჭვრიტა საკუთარი აღსასრულის მოახლოება: დასნეულებულმა, ოთხი დღე „არარაჲსაჲ გემოჲ იხილა, არცა ვის თანა ზრახვიდა“, შაბათ საღამოს კი ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა და 532 წლის 5 დეკემბერს მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

„წმიდათა ცხოვრებანი“. წ. II. თბილისი, 2008

საეკლესიო კალენდარი

1 იანვარი (სამშ.) – ღირ. მამის გიორგი მწერლის და მისი ძმის საბას ხსენება (XIწ.);
2 იანვარი (ოთხშ.) – ქრისტეშობის წინადღესაწაული
– მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (107წ.);
– მართალ იოანე კრონშტადტელის ხსენება (1908წ.);
3 იანვარი (ხუთშ.) – წმ. მამის მაკარი მმარხველის (ხახულის მონასტრის წინამძღვრის) ხსენება (XIს.);
– მრავალვნებულისა ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (1811წ.);
4 იანვარი (პარ.) – დიდმოწამე ანასტასიას ხსენება (304წ.);
– სამეუფო ჟამნობა (წირვას არ უჩენს).
6 იანვარი, სულთმოფენობიდან 31-ე, ქრისტეშობის წინა, წმინდა მამათა კვირა. წმ. იოანე ოქროპირის წირვა.
7 იანვარი (ორშ.) – **ქრისტეშობა!** (ხსნილია ყოვლითურთ 17 იანვრის ჩათვლით);
8 იანვარი (სამშ.) – კრება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა;
9 იანვარი (ოთხშ.) – ღირ. სტეფანე ხირსელის ხსენება (VIს.);
10 იანვარი (ხუთშ.) – ორთა ბევრთა (20000) მოწამეთა (ნიკომედიას დამწვართა) ხსენება (302წ.);
11 იანვარი (პარ.) – ათოთხმეტ ათასთა ჩვილთა მოწამეთა, ჰეროდეს მიერ ბეთლემს მოწყვეტილთა ხსენება (Iს.);
13 იანვარი, სულთმოფენობიდან 32-ე, ქრისტეშობის შემდგომი კვირა
– ქრისტეშობის დღესასწაულის წარგზავნა;
– მართალ იოსებ დამწინდველის ხსენება;
– დავით მეფის, ფსალმუნთა მთქმელის ხსენება;
– უფლის ძმის, იაკობის ხსენება.
– ღირ. საბიანას (სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრის) ხსენება;
14 იანვარი (ორშ.) – **წინადაცვეთა უფლისა**
– წმ. ბასილი დიდის (კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის) ხსენება (379წ.);
15 იანვარი (სამშ.) – ღირ. სერაფიმე საროველის ხსენება (1883წ.);
16 იანვარი (ოთხშ.) – წმ. ექვთიმე ღმრთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენება (1953წ.);
17 იანვარი (ხუთშ.) – ღირ. შიომღვიმელ მოღვაწეთა ხსენება;
– კრება წმიდათა სამოცდაათთა მოციქულთა (Iს.);
18 იანვარი (პარ.) – სამეუფო ჟამნები და მწუხრი წმ. ბასილი დიდის წირვასთან შეერთებული. დიდი აიაზმა (წყლის კურთხევა). **მარხვა;**
19 იანვარი (შაბ.) – **ნათლისღება! (ღმრთისგანცხადება)**
– დიდი აიაზმა (წყლის კურთხევა);
20 იანვარი, სულთმოფენობიდან 33-ე კვირა
– კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
21 იანვარი (ორშ.) – დიდმოწამე აბო ტფილელის ხსენება (786წ.);
23 იანვარი (ოთხშ.) – წმ. გრიგოლის, ნოსელ ეპისკოპოსის ხსენება (394წ.);
24 იანვარი (ხუთშ.) – ღირ. თეოდოსი დიდის ხსენება (529წ.);
26 იანვარი (შაბ.) – ნათლისღების დღესასწაულის წარგზავნა;
27 იანვარი, სულთმოფენობიდან 34-ე კვირა
– მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ხსენება. **ნინოობა!**
28 იანვარი (ორშ.) – წმ. სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელის ხსენება;
29 იანვარი (სამშ.) – წმ. პეტრე მოციქულის პატიოსანთა ჯაჭვთა თაყვანისცემა;
30 იანვარი (ოთხშ.) – ღირ. ანტონი დიდის ხსენება (356წ.);
31 იანვარი (ხუთშ.) – ღირ. ეფრემ მცირის (ფილოსოფოსის) ხსენება (1101წ.);
– ღირ. ალექსი მღვდელმონაზონის (შუშანიას) ხსენება (1923წ.);
– წმ. ათანასესი (373წ.) და კირილეს (444წ.) (ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა) ხსენება.

ჩვენი მოძღვარი

მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა

შემოქმედმა ადამიანი მთელ ხილულ სამყაროზე აამაღლა, განაშვენა თავისი ხატებით, მიანიჭა გონება, თავისუფალი ნება, მარადიული სული, გული, რომელიც ღვთის სიყვარულს დაიტევდა და ამით მისი განსაკუთრებული, მაღალი დანიშნულება გამოკვეთა.

მიუხედავად ზემოხსენებული მაღალი მოწოდებისა, ადამიანი ხშირ შემთხვევაში ვერ გულისხმაჰყოფს უფლის შეგონებებს, რაც მიზეზი ხდება მცდარი და ღვთისთვის არასათნო გადაწყვეტილებებისა და მოქმედებებისა. გამოსავლის ძიებაში დაცემული ადამიანის გონება, ეშმაკის ცდუნებით, უკიდურესად რაციონალური, ამქვეყნიური მოსაზრებების ფონზე კიდევ უფრო ებმება მაცდურის მახეში და ავიწყდება უფლის სიტყვები: – **„თვინიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (ინ. 15,5)**.

ამჟამინდელი მდგომარეობა ერთობ რთულია, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე ჩვენს ქვეყანაში – საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებულმა უმძაფრესმა მოვლენებმა არაერთი კითხვა დასვა, რომელთა შესახებაც სწორი პასუხებია გასაცემი, რის დროსაც უცილობლად სულიერი სწავლება უნდა გავითვალისწინოთ, რამეთუ ბრძანებს უფალი: – ... **„უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თჳსსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“ (რომ. 10,3).**

ჭეშმარიტად შემაშფოთებელია აგრესიულობისა და ძალადობის ზრდა მთელ მსოფლიოში. საგანგაშოა ის გარემოება, რომ აგრესია და ძალადობა მილიონობით ადამიანს ეხება და ვრცელდება მსოფლიოს ახალ რეგიონებზე. ბოროტება წარმოშობს აგრესიულ ფანატიზმს, ეთნო-რელიგიურ კონფლიქტებს, სამოქალაქო ომებს, რამაც შეიძლება გლობალური ხასიათიც მიიღოს.

დღეს მსოფლიოს წინაშე დგას **აქტუალური საკითხი:** გარდაუვალია თუ არა ცივილიზაციათა დაპირისპირება და კონფლიქტი, რამაც შესაძლოა სრულიად დაასრულოს კაცობრიობის ისტორია; თუ გონივრული ნაბიჯებით შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევა. ჩვენ ღმად გვწამს, რომ კეთილი ნების გამოვლენით სავსებით შესაძლებელია კონფლიქტების თავიდან აცილება.

ამდენად, თუ ჭეშმარიტად გვსურს მსოფლიოში არსებული არასტაბილური მდგომარეობის მიზეზთა გარკვევა და გამოსავლის მოძიება, გულისყური ფსალმუნთა წიგნის შემდეგ სიტყვებს უნდა მივაპყროთ: – **„უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი,... რათამცა მტერნი მათნი დამემდაბლნეს, და მაჭირვებელთა მათთა ზედა დამცა მედგა ხელი ჩემი“ (ფს.80,13-14).** აქ, ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ ზემომოხმობილი სიტყვებს: – **„უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი“,** რაც ფრიად საგულისხმო გახლავთ.

მშვიდობის გზით სვლა, კაცთა მოდგმის საუკეთესო თვისებების წინა პლანზე წამოწევა, დიდი მიზნისკენ მისი მოქცევა განწმენდით, სინანულით უნდა დაიწყოს. უმძიმესი მდგომარეობიდან მსოფლიოს გამოყვანა უთუოდ ადამიანის შინაგანი განწმენდისა და ამაღლების გზების ძიებასაც გულისხმობს.

ყოველივე ამის აღნიშვნა ერთობ საჭირო და აუცილებელია, რადგან არასდროს წარმოჩენილა ასე ცხადად დაცემული ადამიანის სახე, როგორსაც ამჟამად ვხედავთ, საამისოდ საფიქრალი კი ძალზე ბევრი გვაქვს. მარტო მე-20 საუკუნის გახსენება რად ღირს, როცა ყალბად გაგებულმა თავისუფლებამ კაცობრიობის ერთი ნაწილი ღვთისა, და აქედან გამომდინარე, **ზნეობის** უბერებელი კანონების უარყოფამდეც მიიყვანა და მათგან „განთავისუფლებული“ ცოდვის მონებად აქცია.

საუკუნეების განმავლობაში, ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ წარმოებულმა მეთოდურმა ბრძოლამ თავისი შედეგი ნაწილობრივ მაინც გამოიღო. თანამედროვე კაცობრიობის უმეტეს ნაწილს ღვთის რწმენა უკვე დაკარგული აქვს და ფსევდოკულტურის, ფსევდოხელოვნებისა თუ ფსევდოფილოსოფიური აზროვნების უბადრუკი ნიმუშებით, მასში **ბუნებითი შჯულის – სინდისის** აღმოფხვრასაც ლამობენ. სამწუხაროდ, ამ პროცესების შესუსტება ჯერჯერობით არ შეინიშნება, მაგრამ უნუგეშოდ სრულიადაც არა ვართ, და თუ ჭეშმარიტი რწმენით, სიყვარულითა და სასოებით შევიმოსებით და სრულიად მივენდობით უფალს, ყველანაირ განსაცდელს გავუძლებთ, რადგან ვუწყით – **„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28, მ.11.).**

და კვლავ დავძენთ. ერთი თვალის გადავლებაც კი სავსებით საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებაში თითქმის სრულიად უგულებელყოფილია ზნეობრივი ნორმები, რის გამოც მავანთა ერთადერთ საზრუნავს ამქვეყნიური სიამოვნებისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს, რაც საბოლოოდ პიროვნების დეგრადაციის, კაცობრიობის სულიერი დაცემისა და ადამიანთა ურთიერთგაუცხოების საწინდარია. ამასთან შეგუება დამღუპველია. აქ ცივილიზებული ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა და ერთად დგომაა საჭირო.

სიკეთის, ურთიერთგაგების, მიმტევებლობის, თანადგომის, ერთობისა და ზნეობის განმტკიცებას უნდა დაეფუძნოს კეთილი ნების ადამიანთა ძალისხმევა, რადგან, როგორც სიბრძნით განთქმული წმიდა მეფე სოლომონი ბრძანებს, ღმერთი ზნედაცემულ ადამიანებში ვერ დამკვიდრდება: – **„ბოროტის-მოქმედსა სულსა არა შევიდეს სიბრძნე, არცა დაიმკვიდრონ ხორცთა შინა განკაფულთა ცოდვათა. რამეთუ წმიდა სული სწავლისა ევლტინ ზაკუასა და განეშორის ზრახვათაგან უგულისხმოთა, ემხილოს, მორაიწიის მის ზედა სიცრუეი“ (სიბრძ. 1. 4-5).**

თბილისში 2004 წლის სექტემბერში, საერთაშორისო ფორუმზე – „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის **ილია II** მისასალმებელ სიტყვაში, ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებას: **„გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება ტექნიკურ-მეცნიერული პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა.**

ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა მტრობასა და შუღლშიც გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით, ამდიდრებს მსოფლიოს“.

ყოველივე ამის ფონზე მისი უწმიდესობა და უნეტარესობა **ილია II** ბრძანებს, რომ... **„საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი,“** რასაც იგი ცივილიზაციათა შორის წარმატებული დიალოგისა და კონფლიქტებისა და დაპირისპირების თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებად მიიჩნევს. ვფიქრობთ, ამ მიმართებით სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გამოვთქვამთ იმედს, რომ კაცობრიობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მშვიდობა სუფევდეს დედამიწაზე, რისთვისაც უდიდესი სიბრძნე გვმართებს ყველას, რათა ნებისმიერი კონფლიქტი ავიცილოთ, ხოლო ცივილიზაციათა დიალოგის გააქტიურებას შევუწყოთ ხელი.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ **სულიერ ღირებულებათა** საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომელიც ეხება ადამიანის დანიშნულებას, მის მოთხოვნილებებს და ცხოვრების მიზანს, ასევე ზოგადსაკაცობრიო თანამედროვე პრობლემები როგორიცაა: გლობალური დათბობა, გენური ინჟინერია, კლონირება, ეკოლოგია, ეპიდემიები თუ სხვა აუცილებელი და საჭირბოროტო საკითხები. აი, აქეთ უნდა მივმართოთ მთელი ძალისხმევა, თუ მართლა გულწრფელად გვსურს მსოფლიოში არსებული დაძაბულობის შემცირება და არსებული მდგომარობის დარეგულირება.

ომის საშიშროების შესახებაც გვსურს ვისაუბროთ. ომში ნუ ვიგულისხმებთ მხოლოდ იარაღით დაპირისპირებას. უკვე კარგახანია დაწყებულია გლობალური **საინფორმაციო** ომი, **ეკონომიკური** ომი, ომი **ენერგომატარებლების** მეშვეობით და მრავალი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამანადგურებელი ომი **ნარკოტიკების** საშუალებით, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. გლობალური ომი მიმდინარეობს **ზნეობასთან** მიმართებაშიც, რასაც ნათლად ცხადჰყოფს ზოგიერთი სატელევიზიო არხის ყოვლადუზნეო და უგვანო გადაცემები თუ „რჩეული“ ინტერნეტსაიტები, რომლებიც სულიერად ანადგურებენ ახალგაზრდობას.

სახეზეა ასევე სულიერი ბრძოლის არნახული მასშტაბები არაერთი დესტრუქციული სექტის დამღუპველი მოქმედებისა, ხოლო საზოგადოების დიდი ნაწილის ინდეფერენტულობისა ამ პროცესების მიმართ, რაც უშუალო შედეგია ღვთის შეგონების შეუსმენლობისა: – **„მოძღურებასა მრავალსახესა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ, რამეთუ კეთილად მადლითა განმტკიცებულხართ გულითა ...“ (ებრ. 13,9).**

აქ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც გვსურს შევეხოთ. არაერთი საუკუნეა ქართულ მიწაზე ქართველ ხალხთან ერთად მშვიდობიანად თანაცხოვრობენ **სხვადასხვა ეროვნების** წარმომადგენლები. ეთნიკურ სიჭრელეს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს **რელიგიური ნაირგვარობაც.** მიუხედავად ამისა, საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეთნიკურ თუ რელიგიურ შუღლს, თუ არ ჩავთვლით კონფლიქტებს **აფხაზეთსა** და **სამაჩაბლოში**, რომელიც მტრული გარეშე ძალის მიერ ხელოვნურად იყო ინსპირირებული და თავს მოხვეული.

ამდენად, ჩვენ გაგებით ვეკიდებით იმ საკითხს, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს თავისი კულტურა, ადათ-წესები და ტრადიციული სარწმუნოება აქვთ, და ეს ჩვენთვის გასაგებია, რადგან ჩვენ (ქართველები) ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ მსოფლიო ხალხთა შორის. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ საქართველოს დედაქალაქში, **თბილისში**, კერძოდ, მის ერთ-ერთ უბანში, ფაქტიურად ერთ ქუჩაზე მდებარეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძარი – სიონი, კათოლიკური ეკლესია, სომხური ტაძარი, ებრაული სინაგოგა და მეჩეთი. აქ ყველამ უნდა გააცნობიეროს ის, რომ ერთად, ერთ ქვეყანაში – საქართველოში ვცხოვრობთ და მშვიდობიანი რელიგიური თანაცხოვრების გზით გვივლია. ამდენად, ქვეყნის გასაჭირი მასში მცხოვრები ყველა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის თითოეული წარმომადგენლის გაჭირვებაც უნდა იყოს. ასევე, ყველამ უნდა ისარგებლოს ძლიერი საქართველოს კეთილდღეობითაც.

საქართველოში ჩვენ ყველანი საერთო პრობლემის წინაშე ვდგავართ. ეს პრობლემები რელიგიასაც ეხება. ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ტრადიციულ რელიგიებს ემუქრებათ – **სექტების** მოძალებაა. განსაკუთრებით საშიშია ე.წ. „ტოტალიტარული სექტები“, რომელნიც არად აგდებენ სარწმუნოებრივ, ეთნიკურ თუ კულტურულ ტრადიციებს და მათი ნიველირებისაკენ ისწრაფვიან. გარდა ამისა, ამგვარი დესტრუქციული სექტების საქმიანობა დამანგრეველად მოქმედებს ადამიანთა სულებზე, მათ ფსიქიკასა და ხშირად ფიზიკურ მდგომარეობაზეც კი. ჩვენი ვალია ერთიანი ძალისხმევით წინ აღვუდგეთ ამ საფრთხეს.

გლობალიზაციის კონტექსტში დღევანდელობის შესაფასებლად ვიტყოდით, რომ ჩვენ აპოკალიფსურ დროში ვცხოვრობთ. აუცილებლად დადგება ქვეყნიერების დასასრული, დღე მეორედ მოსვლისა. წმიდა წერილიდან ცნობილია, რომ აპოკალიფსური პერიოდი ომებით, ეპიდემიებით, ეკოლოგიური კატასტროფებით, სულიერი დეგრადაციით, უსჯულოების უკიდურესად გავრცელებით არის ნიშანდობლივი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად უკვე სახეზეა, თუმცაღა არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეორედ მოსვლის ჟამი შეიძლება ვინმემ იცოდეს, რაზეც ასე ცრუბრძნობენ დღესაც, რადგან დრო და ჟამი მეორედ მოსვლისა არავინ უწყის (მთ. 24, 36; მკ. 13, 32).

მათ, ვინც გულისხმაჰყო ადამიანური ღირსების, ურთიერთგაგების, თანამშრომლობის, შემწყნარებლობის მნიშვნელობა, რაც ერთი მტკიცე ნაბიჯი იქნება მსოფლიოში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის რთულ გზაზე, წმინდა წერილის სიტყვებით მივმართავთ: – **„განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისაითა; შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღმრთისაი, რაითა შეუძლოთ თქუენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა,... მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი... ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად; და ჩაფხუტი იგი ცხორებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი“... (ეფ.6,10-17).**

და ბოლოს, ყოველ ადამიანს ერთსულოვნებისა და მშვიდობის გზაზე, ვუსურვებდით სულიერ განსჯას, გონიერებას, მოთმინებასა და ჭეშმარიტ რწმენას, დაფუძნებულს წმინდა წერილის შემდეგ სიტყვებზე:

– „მოიძიე მშვიდობაი და მისდევდი მას“ (1 პეტ.3,11 და ფს.33,14);

– „კაცად-კაცადმან ვითარცა მიიღო მადლი, ეგრეთვე ურთიერთას ამსახურებდით მას“...(1პეტ.4,10);

– „და ყოველსავე, რასაცა იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“... (კოლ.3,23);

– „ხოლო დასასრულსა ერთ-ზრახვა იყვენით, მოწყალე, ძმათ მოყვარე, შემწყნარებელ, მდაბალ“ (1პეტ.3,8),

რათა ვისმინოთ ყოვლადსამართლიანი მსაჯულისაგან: **– „კეთილო მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შეეედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მთ. 25,21),** რომლისა არს სუფევა, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის
სახელობის
ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა გუნია

ლვთიაყრი მადლის შემობრძანება

ნიკოფსის ფესტივალი

ხამთანი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი